როგორც ვიტყობინებოდით, ამას წინათ ვოროხტაში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი თბილაბურებით რბენაში. ოქროს მედლებისთვის ქალები 5, ხოლო ვაჟები 30 კილომეტრზე იბრძოდნენ (სხვა დისტანციებზე მხოლოდ უძლიერესთა ტურნირი მიეწყო).

გორკის ავტოქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა, 25 წლის ა. სმირნოვამ („ტრუდი") ორ დისტანციაზე სცადა ძალა და ორივე მოიგო. 5 კმ მან 19 წუთსა და 3 წამში გაირბინა, ხოლო 10 კმ — 38 წუთსა და 56 წამში.

30 კილომეტრზე რბენაში ოქროს მედალი იაროსლაველ ვ. ტარაკანოვს ხვდა — 1:39.33.

* * *

სურათებზე: სსრ კავშირის ჩემპიონები ა. სმირნოვა და ვ. ტარაკანოვი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფენიქსებში

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა 30-ე ჩემპიონატი.

ბაქო, 16 იანვარი. აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 3:2, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — ცსკა 3:2, „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:0. **17 იანვარი.** აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:1, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 3:0, ცსკა — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 3:1.

რიგა. 16 იანვარი. „რადიოტექნიკი" (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი) 3:1, „ლოკომოტივი" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 3:1, ასკ (როსტოვი) — „კალევი" (ტალინი) 3:0. **17 იანვარი.** ასკ — „ბურევესტნიკი" 3:0, „რადიოტექნიკი" — „ლოკომოტივი" 3:1, „კალევი" — „დინამო" 3:1.

* * *

სურათზე: მოსკოვისა და მინსკის ბურევესტნიკელთა მატჩის მომენტი. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 3:2.

ტელეფოტო ფ. ალიევისა (საკდესი).

ოცდამერვე...

ტერსკოლში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს სამთამოთხილამურეთა ტურნირი. როგორც უკვე ვწერდით, სპეციალურ სლალომში აშკარა იყო გ. შიხოვასა და ტ. მონასტირიოვის უპირატესობა. მათ ორივე ნახევარფინალი მოიგეს და ფინალშიც საუკეთესო დრო აჩვენეს.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მათ მეტოქეებს სხვა სახეობებში წარმატებისათვის ბრძოლაზე ხელი ვერ აიღებინა და გიგანტური სლალომის ტრასაზეც საინტერესო ასპარეზობა გაჩაღდა. მაგრამ ლიდერები აქაც ლიდერებად დარჩნენ. მაგალითისთვის კმარა, რომ 2.000-მეტრიან, საკმაოდ რთულ ტრასაზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობა 600 მეტრს უდრიდა (52 კარით), მოსკოველი სპორტის ოსტატი შიხოვა (საბჭოთა არმია) კვლავ მიუწვდომელი იყო. სტარტი პირველად მან აიღო, მაშასადამე, მისი მაჩვენებელი სხვათა ორიენტირი უნდა ყოფილიყო, რაც შიხოვას მეტოქეთ ბრძოლას უადვილებდა. ეს ლიდერმაც კარგად იცოდა, ამიტომ ფინიშისკენ თავდაუზოგავად მიჭრილდა და დღის საუკეთესო შედეგიც (2.10,4) აჩვენა. მასთან 13,8 წამით წაგო ტ. ტრუუმ („დინამო"), რომელმაც II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა ნ. დანილოვა (მოსკოვის ოლქი) — 2.25,6.

შეჯიბრების მონაწილეთა მესამედი (სტარტზე გამოვიდა 31 ქალი) დაეცა, კარი გამოტოვა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან მოსკოვის სპარტაკელი ლ. ვოლკოვა და მოსკოვის დინამოელი ე. კაბინა.

ქალთა მეორე გიგანტურ სლალომში (ეს შეჯიბრება სწრაფდამვების მაგიერ გაიმართა) ტრასის სიგრძე მხოლოდ 1.800 მეტრი იყო (სიმაღლეთა სხვაობა 550 მ), კართა რიცხვი კი 59-მდე გაზარდეს. შიხოვას ტოლი არც ახლა ჰყავდა. ამრიგად, მან ყველა ტურნირი მოიგო და, რა თქმა უნდა, სამჭიდშიც გაიმარჯვა.

სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა სამმა სპორტსმენმა — 17 წლის უკრაინელმა ვ. კოზლოვამ და პერმელმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა ს. დუბროვინამ — სპეციალურ სლალომში, ყაბარდო-ბალყარეთის წარმომადგენელმა, 16 წლის ლ. კონოპელცევამ — სამჭიდში.

ვაჟებში ტერსკოლის სამთო ტრასებზე მოსკოველი მონასტირიოვი („ბურევესტნიკი") მეფობდა. მან მხოლოდ 2 წუთი და 21,8 წამი მოანდომა პირველი გიგანტური სლალომის 2.100-მეტრიანი დისტანციის (620 მ, 62 კარი) გავლას. მონასტირიოვმა პირველობა არც მეორე გიგანტურ სლალომსა და სამჭიდში დათმო. ამრიგად, მოსკოველმა თავისი კარიერის ოცდამერვე სპორტული ჯილდო მოიპოვა ტერსკოლში.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკ

№ 13 (3497)

20

1968 წ. იანვარი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ჰელსინკში, მსოფლიო ჩემპიონატზე

ალმა-ათა, 18 იანვარი. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი სტუდენტი ლ. ტიტოვა სათავეში ჩაუდგება ჩვენი ქვეყნის მოციგურავე ქალთა გუნდს, რომელიც კვირას ჰელსინკს გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატში (27-28 იანვარი) საასპარეზოდ.

ნაკრებ გუნდში, რომელიც დღეს დაამტკიცა საციგურაო სპორტის საკავშირო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ, აგრეთვე, შევიდნენ: მსოფლიოსა და სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი ლ. კაუნისტე (რიგა), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვ. სტენინა (სვერდლოვსკი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 6 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ლ. სკობლიკოვა (მოსკოვი) და მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი, მოსკოველი სტუდენტი გ. ნეფიოდოვა, რომელიც შარშან დევენტერში (ჰოლანდია) საბჭოთა გუნდის თადარიგში იყო. ახლახან დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ტ. სიდოროვა საგანგებოდ ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადება.

ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატი რიგით ქალთა ოცდამეექვსე პირველობაა და მეცხრამეტეა, რომელშიც საბჭოთა მოციგურავეები მონაწილეობენ. გაგახსენებთ, რომ საბჭოთა სპორტსმენები 17-ჯერ გამარჯვებული დაბრუნდნენ სამშობლოში და მხოლოდ შარშან დევენტერში დაუთმეს პირველობა ჰოლანდიელ ს. კაიზერს.

მნიშვნელოვანი სიახლე

წლევანდელ საკავშირო სპორტულ კალენდარში ერთობ სასიამოვნო სიახლეა: ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად გაიმართება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის თამაშები. თავდაპირველად ჩატარდება შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, შემდეგ მოეწყობა რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური თამაშები. ამ საინტერესო ღონისძიების დასკვნითი ეტაპი იქნება საკავშირო ფინალური შეჯიბრებები სპორტის 11 სახეობაში.

ყველაზე ადრე, 20-24 მარტს (იოშკარ-ოლაში) ფინალურ შეხვედრებში ძალას ცდიან **თავისუფალი სტილის მოჭიდავენი,** შემდეგ ხალჩაზე გამოვლენ **კლასიკური სტილის მოჭიდავენი**—27-31 მარტს, ცელინოგრადში.

დანარჩენი ფინალები ასეთი განრიგით გაიმართება: **ჭადრაკში** — 17-28 აპრილს ყირიმის ოლქის სოფელ ნიკიტაში, **მექანიზატორთა მრავალჭიდში** — 18-22 ივლისს ლიტვის რესპუბლიკის იურბაკის რაიონის დასახლება ვეშვილში, **ხელბურთში** (მხოლოდ ვაჟები) — 29 აგვისტო-5 სექტემბერს ლიტვის ქალაქ ელექტრენაში, **ცხენოსნობაში** — 15-22 სექტემბერს კიევში, **ტყვიის სროლაში** — 20-22 სექტემბერს კრასნოდარის მხარის სტანიცა პავლოვსკაიაში, **ველოსპორტში**—24-29 სექტემბერს სოხუმში, **ფრენბურთში** — 30 სექტემბერ-6 ოქტომბერს ნალჩიკში, **ძალოსნობაში** — 2-6 ოქტომბერს ნალჩიკში, **მძლეოსნობაში** — 3-6 ოქტომბერს ნალჩიკში.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო მზადება თამაშებისთვის. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, სპორტკავშირის პრეზიდიუმმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ, სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტმა და „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების ჩატარების თაობაზე. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი (თავმჯდომარე — საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე), შემუშავდა დებულება (თამაშების პროგრამაში დამატებით შეტანილია სპორტის ეროვნული სახეობა — ქართული ჭიდაობა).

დადგენილია რესპუბლიკური თამაშების კალენდარიც: **თავისუფალი ჭიდაობა** — 16-19 თებერვალი — თბილისი, **კლასიკური ჭიდაობა** — 23-26 თებერვალი — ლანჩხუთი, **შაში** — 11-19 მარტი — მახარაძე, **მექანიზატორთა მრავალჭიდი** — 20-24 მარტი — საგარეჯო, **ცხენოსნობა** — 6-11 ივლისი — თბილისი, **ხელბურთი** — 23-30 ივლისი — ბათუმი, **ფრენბურთი** — 2-8 აგვისტო — სოხუმი, **ტყვიის სროლა** — 15-19 აგვისტო — ზუგდიდი, **ველოსპორტი** — 21-26 აგვისტო — სოხუმი, **მძლეოსნობა** — 23 აგვისტო-2 სექტემბერი — გორი, **ძალოსნობა** — 23 აგვისტო-2 სექტემბერი — ჭიათურა, **ქართული ჭიდაობა** — 1-4 ნოემბერი — თბილისი.

◆ **მოსკოვი,** 19 იანვარი. გადაწყდა მსოფლიოს საჭადრაკო ტახტისთვის მებრძოლთა შეჯიბრების ახალი ციკლის — ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩის ჩატარების ადგილი და დრო: 21 აპრილს ბელგრადში დაიწყება დიდოსტატების მ. ტალისა (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩის (იუგოსლავია) ორთაბრძოლა.

◆ **ჰელსინკი,** 19 იანვარი. მ-ციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 12 ქვეყანამ განაცხადა. ფინეთის დედაქალაქში იასპარეზებს კანადის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეიცარის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფინეთის 34 სპორტსმენი.

◆ **ბელგრადი,** 19 იანვარი. აქ გაიმართა ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდასა" და მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1 (15:9, 12:15, 15:0, 15:2). ამ გუნდების საპასუხო მატჩი ჩატარდება 4 თებერვალს მოსკოვში.

◆ **შტრასბურგ-პლესი,** 19 იანვარი. მაღალი ტატრების ძირში მდებარე ჩეხოსლოვაკიის ამ პატარა ქალაქის ახალი ტრამპლინის რეკორდი დაამყარა საბჭოთა „მფრინავმა მთისა-ლამფრენმ", მოსკოველმა ა. ეგლანოვმა, რომელიც 97,5 მეტრზე გადახტა (ტრამპლინის საპროექტო სიმაღლეზე 85,5 მეტრია).



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაილოცოს

ამ დავას კარგა ხნის ისტორია აქვს. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ქართულმა ჭიდაობამ დაკარგა ავტორიტეტი და ამიტომაც მკვეთრად იკლო მისმა პოპულარობამ. ზოგნი პირიქით, იმ აზრისა არიან, რომ ჩვენი ეროვნული საუნჯე იყო და დარჩება ახალგაზრდობის საყვარელ სპორტად, განსაკუთრებით კი — რაიონებსა და სოფლებში. ამ კამათის გადაწყვეტა იმ კომპეტენტური ორგანიზაციის საქმეა, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურ. ფედერაციად რომ იწოდება. ჩვენი მიზანი უფრო კონკრეტული და ამიტომაც მარტივი იყო: ცხელ ნაკვალევზე გავყოლოდით იმათ, ვისაც სწამს ქართველი ფალავნების აწმყო, მომავალი და ამ რწმენას შეძლებისდაგვარად ხორცს ასხამს.

კვალმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართლის გულში, კასპის რაიონში მიგვიყვანა. რატომ აქ და არა სხვაგან, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. ტრაფარეტული სიტყვებით რომ ვთქვათ, კასპის რაიონში სპორაიონში ქართულ ჭიდაობას იმდენი ქომაგი ჰყავს, რამდენიც მოსახლე.

აი, ერთ-ერთი ქომაგი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლ. კაციაშვილი, რომელიც სპორტულ სკოლაში ახალგაზრდობის დაოსტატებას ხელმძღვანელობს. ორმოც წელს გადაცილებული ოსტატი დღესაც წარმატებით ასპარეზობს დიდ სარბიელზე, მაგრამ როცა საქმე ახალგაზრდა ფალავანთა ინტერესებს ეხება, იგი გაჭირვების ტალკვესია რაიონშიც.

ზემო ხანდაკი კასპიდან არც ისე შორსაა და რადგან ჩვენც სწორედ სოფლის სპორტული ცხოვრების გაცნობა გვსურდა, ამ მადლიან კუთხეს მივაშურეთ. თუ ვინმე ოდესმე ზემოხანდაკელთა ისტორიის დაწერას განიზრახავს, რჩევას ვაძლევთ: წარსულის კარიბჭე ვლადიმერ გოგიბედაშვილის კერიდან შეაღოს.

ხანდაზმული, მაგრამ ახალგაზრარიან მოედანზე, ხან ვეტერანები, ხან მტკვრის გაღმელები ცდიან ძალასა და ხერხს, ხან მტკვრის გამოღმელები. მხიარული ჟრიამული გვიან ღამემდე არ წყდება.

ჭიდაობის ორგანიზაციას ერთიანი და მტკიცე წესი აქვს, რომელსაც სოფლის მკვიდრნი მუდამ ერთგულად იცავენ. წყვილთა შეხვედრებს, როგორც წესი, მოქიშპე სოფლის თითო მსაჯი სჯის. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ უკმაყოფილო არც დამარცხებული დარჩეს, არც გამარჯვებული. ვეტერანები (ისინი კი ბევრნი არიან ზემო ხანდაკში) სიამოვნებით ადევნებენ თვალს ფალავანთა ჭიდილს, მაგრამ საქმეში იშვიათად ერევიან.

ისე კი, აზარტში შესულ მაყურებელთა და მოჭიდავეთა ყურადღება მუდამ ორი ახალგაზრდისკენაა მიპყრობილი, რომელთა ხელის აწევაც კი საკმარისია მოჭარბებულ ვნებათა დასაცხრომად. ესენი არიან ალექსანდრე ქვრივიშვილი და ნიკოლოზ გოგიაშვილი. ამ ორ ხანდაკელ მეგობარს ერთნაირი ინსტიტუტის აღზრდილია, მასაც უყვარს ახალგაზრდობა, თავისი სოფელი და ამიტომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უჭოჭმანოდ დაბრუნდა შინ.

ალექსანდრეც და ნიკოლოზიც წარსულში საკმაოდ ცნობილი მოჭიდავენი იყვნენ. ამიტომაა, რომ გული მუდამ სარბიელისკენ მიუწევთ. სკოლაში კი... იქ ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდის: სექციური მეცადინეობა, გაკვეთილები, კალაობურთი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რისკენაც გული მიუწევთ მოწაფეებს. ბაზების ნაკლებობას ფიზაღზრდის მასწავლებლები ვერ დაემდურებიან, მით უმეტეს, რაიონის მესვეურები სკოლას დარბაზსაც ჰპირდებიან. მათ კი თავიანთი სიტყვა არასდროს გაუტეხიათ.

არ გეგონოთ, რომ ზემოხანდაკელები მხოლოდ სპორტით იყვნენ გატაცებული. მათ შრომის დროს შრომა იციან საუკეთესო ფალავნებზე. მიხეილზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ირაკლი ვაჩნაძეს, კახელად წოდებულს.

კოტე ბალალაშვილი დღეს მეცხოველეობის ფერმის გამგე და სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე მუშაკია რაიონში. ახალგაზრდობაში იგიც გატაცებული ყოფილა ქართული ჭიდაობით და ხშირად შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა.

ზემო ხანდაკში ჩვენი „მოგზაურობა“ ალალი მასპინძლის — ძია ლადოს სახლში სტუმრობით დავამთავრეთ. ეს იყო ხანმოკლე, მაგრამ წარუშლელი ექსკურსია საქართველოს ისტორიაში, სადაც ჩვენი მასპინძელი ახალ როლში წარმოგვიდგა. აქამდე ძია ლადოს ვიცნობდით როგორც მშრომელ. გამრჯე კაცს და სპორტის ტრფიალს. მაგრამ იგი კარგი მწიგნობარიც ყოფილა. მის ოჯახში დიდი სიყვარულით ინახება „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემები, სხვა ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები.

თქვენი მარჯა,

რტის არც ერთი სახეობა არ სარგებლობს ისეთი სიყვარულით, როგორითაც ქართული ჭიდაობა. მაგრამ პოპულარობა საკითხის ჯერ კიდევ ერთი მხარეა, მთავარი კი ის არის, რომ რაიონში ყველა, დიდი და პატარა ამ სიყვარულს თვალისჩინივით უფრთხილდება.

მაშ ასე. ჩვენი განზრახვის ამოსავალი გახდა ის ჭეშმარიტება, რომ ამ რაიონში ფეხადგმულმა ბევრმა ფალავანმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. გადახედეთ მათ სიას (გოგლა რამაზაშვილი, ნიკა გეჯაძე, ნიკოლოზ პაპიაშვილი, ვანო ქამხაძე, ლადო გოგიბედაშვილი და მრავალი სხვა) და დარწმუნდებით, რომ ამ ჭეშმარიტებას საკმაოდ მყარი საძირკველი აქვს.

მაგრამ ფალავანთა გვარები, რაგინდ პოპულარულიც უნდა იყვნენ ისინი, მთლიან სურათს მაინც არ იძლევა. იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს ქართული ჭიდაობა კასპის რაიონის მშრომელებისთვის, ფეხით უნდა მოიარო ლამისყანა და ხოვლე, დოესი და კავთისხევი, ქვემო ხანდაკი და ახალქალაქი, მეტეხი, ყარალეთი და, რა თქმა უნდა, ზემო ხანდაკი.

აქ, ამ რაიონში, იშვიათია სოფელი, სადაც არ იმართებოდეს მოჭიდავეთა ტრადიციული, ორგანიზებული შეჯიბრება. აღარას ვამბობთ ფალავანთა იმპროვიზებულ ასპარეზობებზე, სადაც სარბიელის მაგივრობას სწევს მდელო, ან რიყის ქვიშა.

ვისი დამსახურებაა ეს, ძნელი სათქმელია, რადგან აქ ტრადიციასაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რაიონის ხელმძღვანელთა მზრუნველობას. ახალგაზრდების მონდომებასა და ვეტერანთა ენთუზიაზმს. ერთი სიტყვით, კასპის დულად ცოცხალი და წელგამართული ძია ლადო ქართველი გლეხკაცის ცოცხალი ისტორიაა. გამოჩენილი ფალავანი მრავალჯერ დასჭიდებია მიტო გლდანელსა და გიუშა ჭიჭინაძეს, აქია ნახალოვკელსა და ნიკო მეტეხელს და არავისთვის ტოლი არ დაუდევს. ძია ლადომ ქართული ჭიდაობის სიყვარული ბავშვობაშივე შთაუნერგა თავის ვაჟს ნუგზარს, რომელმაც შემდგომში მამის სიყვარულს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლითა და ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით უპასუხა.

სწორედ ლადო გოგიბედაშვილი იყო ჩვენი კეთილი მეგზური ზემო ხანდაკში, სადაც ყოველი ახალგაზრდა, ყოველი მოხუცი ქართული ჭიდაობის სიყვარულით სუნთქავს. ზემოხანდაკელებს აქვთ საჭიდაო მოედანი, რომელიც გაზაფხულზე, ზაფხულობითა და შემოდგომით მთელს სოფელს უყრის თავს. სარბიელის მოწყობაში (და განა მარტო სარბიელის!) ზემოხანდაკელებს დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. გოგიბედაშვილმა. იგი სხვებზე უკეთ იცნობს მოჭიდავეთა ჭირსა თუ ლხინს, ვინაიდან ადრე თავადაც გატაცებით ჭიდაობდა. თავმჯდომარის თაოსნობით გამოიყო მოედანი. მისივე თაოსნობით დაიდგა სკამები, ახლა კი სოფლის თავკაცს სარბიელის გადახურვა აქვს განზრახული.

ყოველ შაბათს, მზე რომ გადაიხრება, ზემო ხანდაკის საჭიდაო სარბიელი ცხოვრებას იწყებს. მოდიან ჭიდაობის ტრფიალნი თბილისიდან, გორიდან, მეზობელი სოფლებიდან. იწყება სხვადასხვა შეჯიბრება... ხან ახალგაზრდები ბიოგრაფია აქვს. ორივეს თავდავიწყებით უყვარს სპორტი და ორივე მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას ხელმძღვანელობს საშუალო სკოლაში. ალექსანდრემ ჯერ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ერთ ხანს კავთისხევში მუშაობდა, მერე კი მშობლიურ სოფელში დაბინავდა. ნიკოლოზიც გორის პედაგოგიური (ამას ძია ლადოსი და სხვათა დაკოჟრილი ხელებიც მოწმობენ), ლხინის დროს — ლხინი. საუბარში მუდამ რიდით უჭირავთ თავი. მაგალითად, მიხეილ გოგიბედაშვილს, რომელიც ძველად ცირკში პატარა ხანდაკელის სახელით გამოდიოდა, თავის თავზე ვერაფერი მოვაყოლეთ. სამაგიეროდ, იგი დიდხანს გველაპარაკა ძველი დროის



ამ თავისებური მუზეუმის ერთ კუთხეში კედელზე ათამდე საჭიდაო ჩოხა ეკიდა. ამ ჩოხებს ძია ლადო თურმე მოასპარეზეებს სთავაზობს ხოლმე. გაგვახსენდა ზოგიერთი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ჩივილი საჭიდაო ჩოხების ნაკლებობაზე. თურმე, თუ გული გულობს...

დიახ, ვლადიმერ გოგიბედაშვილი რეალისტი კაცია. მან დღევანდელი დღის ფასიც იცის და ხვალინდელის გემოც. იცის, რომ ძალა ახალგაზრდობისა, რომელსაც იგი მრავალი წელია უანგაროდ ემსახურება, მომავლის რწმენაშია. აკი იმიტომაც არის მისი „მუზეუმის“ შესასვლელში კედელზე ამოკვეთილი: „დილა რომ კაცს ახალი იმედებით არ აღვიძებდეს, მისი ტანისამოსი ჩაცმადაც არ ეღირებოდა!“

ნ. გუგუშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ზემო ხანდაკი,
კასპის რაიონი.

* * *

სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — ა. ქვრივიშვილს საჭიდაოდ გამოჰყავს გუნდი; მარჯვნივ — ნ. გოგიაშვილი გულმოდგინედ ადევნებს თვალს ჭაბუკთა ორთაბრძოლას; ქვემოთ — ფალავანთა უმაღლესი ტრიბუნალი მუშაობის დროს (მარცხნიდან): მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ბალავაძე, ვ. გოგიბედაშვილი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ლ. კაციაშვილი.

ზემოხანდაკელებო!

„ტრადიციას" არ ღალატობენ

შაშის სამყარო ინტერესით შეჰყურებს თბილისს, სადაც უმაღლესი ტიტულის ბედი უნდა გადაწყდეს.

იმ მკითხველებმა, რომლებიც ორთაბრძოლას ადევნებენ თვალს, იციან, რომ მატჩი დაძაბული და საინტერესოა. სწორედ ისეა, — სეტყვა მოვიდა და ქვა დახვდაო. მართლაც, სულ გათამაშებული 13 პარტიიდან მსოფლიო ჩემპიონმა ი. კუპერმანმა მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვება. ახლა რამდენი გამოუყენებელი შესაძლებლობა ჰქონდა პრეტენდენტ ა. ანდრეიკოს! მატჩის დაძაბულობა იმდენად დიდია, რომ კუპერმანმაც კი ხელიდან გაუშვა გამარჯვების აშკარა შესაძლებლობა XII პარტიაში...

საერთოდ კი, ყაიმები, ყაიმები...

დიახ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა მსოფლიო პირველობების ისტორიაში

...საქართველოს დედაქალაქში ჩვენი ქვეყნის ყოფილი კუთხიდან ჩამოდიან ცნობილი მოშაშეები. სურთ თავისი თვალით ნახონ, „რა ხდება" მატჩზე.

აი, მინსკელი სტუდენტი-მათემატიკოსი ა. განტვარგი. ამას წინათ მან ბრონჯაოს მედალი მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონატში და ანდრეიკო ჩამოიტოვა. თუმცა, მინსკელმა პრეტენდენტი მხოლოდ კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით ჩამოიტოვა — ორივეს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს დიდი მიღწევაა 19 წლის ჭაბუკისთვის. ვფიქრობთ, სწორედ განტვარგი დაიცავს საბჭოთა მოშაშეების ღირსებას დიდ ოლიმპიურ ტურნირში, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება რომში. ეს მით უფრო მოხდება მაშინ, თუ თბილისის მატჩში ანდრეიკო დამარცხდა. და განტვარგმა ალარ იცის, ვის გაუწიოს ქომაგობა: ანდრეიკო ხომ მისი მეგობარია!

სტუდენტია ლენინგრადელი ა. მოჩილიანსკიც. მანაც კარგად ითამაშა სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატში და მოიპოვა საპატიო უფლება, რომ ჰოლანდიის მოშაშეებთან მომავალ მატჩში გამოვიდეს. მოჩილიანსკის არაფერი ეეჭვება — იგი ანდრეიკოს გულშემატკივარია.

თბილისში არიან ოსტატობის კანდიდატი ა. ფისუნი და სპორტის ოსტატი ი. ფინკელშტეინიც. ეს უკანასკნელი ერთ დროს კუპერმანთან ერთად სწავლობდა სკოლაში, ერთ კლასში იყვნენ. მისი ფავორიტი ჩემპიონია. გუშინ მატჩზე დასასწრებად თბილისში ჩამოვიდა კუპერმანის კიდევ ერთი გულშემატკივარი — უზბეკეთის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ბ. კანიშრიკერი.

სტუმრად ჩამოსული ოსტატები მაყურებლებს „აბარებენ გამოცდას", — ერთდროული თამაშის სეანსს ატარებენ 12 დაფაზე. თუმცა ოსტატებმა ბოლოსდაბოლოს მოუგეს მაყურებლებს, ეს უკანასკნელნი მაინც კმაყოფილი არიან — მათ 5 ქულა აქვთ, ოსტატებს — მხოლოდ 7.

შაშს საქართველოში დიდსანს არავინ სწყალობდა, ახლა კი ქართველი შაშის მოყვარულები ოსტატებსაც ეჯიბრებიან. კარგად უმუშავია რესპუბლიკის შაშის ფედერაციას. სხვათა შორის, კუპერმანისა და ანდრეიკოს მატჩს ესწრებოდა ნონა გაფრინდაშვილიც. იგი მოჯადოებულივით შეკვერილა დაფას: რა გვეთქმის. მოხარული ვიქნებით, თუ „ტადრაკის დედოფალს" შაშის დედოფლადაც ვიხილავთ.

მაგრამ ახლა ისევ გუშინწინ გათამაშებულ XIII პარტიას დავუბრუნდეთ.

ანდრეიკომ (შავებით) მკირე უპირატესობას მიაღწია. ერთ ხანს ჩემპიონის ბედი საფრთხეშიც კი იყო, მაგრამ კუპერმანი დროულად მოვიდა გონს და ძალიან იოლად მიაღწია ყაიმს.

ერთი სიტყვით, მეტოქენი „საყაიმო ტრადიციას" არ ღალატობენ.

მატჩის ანგარიშია 7:6 კუპერმანის სასარგებლოდ.

ვ. გოროდეცკი,
დიდოსტატი, სსრ კავშირის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

გამარჯვება რეკორდით

ალმა-ათა, 17 იანვარი. მაღალმთიან საცეგურაო მედეგზე დღეს დამთავრდა სსრ კავშირის მოცეგურავე ვაჟთა ჩემპიონატი. ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მოსკოველმა ინჟინერმა, 30 წლის ე. მატუსევიჩმა, რომელმაც დაებრუნა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. ეს გამარჯვება მით უფრო ფასოვანია, რომ აღინიშნა ახალი საკავშირო რეკორდით მრავალჭიდში (177,051 ქულა), რაც მხოლოდ 0,069 ქულით ჩამოუვარდება ნორვეგიელი ს.-ე. სტიანსენის მიერ ამას წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს და აღემატება ჰოლანდიელი კ. ფერკერკის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (178,058). სსრ კავშირის ძველი რეკორდი (179,193) ასევე მატუსევიჩს ეკუთვნოდა და დამყარებული იყო გიევიკში (ნორვეგია) 1965 წლის იანვარში. ევროპის ექს-ჩემპიონმა ასეთი შედეგები უჩვენა ცალკეულ დისტანციებზე: 500 მ — 40,6, 5.000 მ — 7.39,4, 1.500 მ — 2.06,5, 10.000 მ — 16.06,9.

II ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 29 წლის ა. ანტსონმა (ტალინი), რომელმაც მრავალჭიდში მსოფლიო საცეგურაო სპორტის ისტორიაში მესამე შედეგი აჩვენა — 177,198 ქულა.

III ადგილი მრავალჭიდში დაიკავა ვ. კაპლანმა (მოსკოვი) — 178,703.

ცალკეულ დისტანციებზე გაიმარჯვეს: 500 მ — ვ. მურატოვმა (მოსკოვის ოლქი) — 39,6 წამი; 5.000 მ — ა. ანტსონმა — 7.34,8; 1.500 მ — ი. მალიხინმა (მოსკოვი) — 2.05,8; 10.000 მ — ვ. ჩაგინმა (სვერდლოვსკი) — 15.55,7.

* * *

სურათზე: ე. მატუსევიჩი.

ფოტო ე. ტკაჩენკოსი.

სამი დინამოელი — ნაკრებში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მზადებას იწყებს ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშებისთვის.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ ნაკრებში სავარჯიშოდ თბილისის „დინამოდან" მიიწვია 3 ფეხბურთელი: მ. ხურცილავა, გ. ნოდია და კ. ასათიანი. შეკრება იწყება 22 იანვარს მოსკოვში. შემდგომ გუნდი მექსიკაში ამირებს გამგზავრებას.

საჭმიანი საუბარი

რესპუბლიკურ ფედერაციათა უფლებამოსილების ვადა ორ წელიწადს შეადგენს. გავა ეს დრო და ფედერაციის მმართველმა ორგანომ — პრეზიდიუმმა შემაჯამებელ პლენუმზე ანგარიში უნდა წარუდგინოს ფართო საზოგადოებრიობას — პლენუმს. ესაა დადგენილი წესი, ტრადიცია. საანგარიშო მოხსენების მოსმენის შემდეგ პლენუმს თავისი „მსჯავრი" გამოაქვს და შესაბამისად აფასებს პრეზიდიუმის მუშაობას, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი საქმიანობის მასშტაბები და ხარისხი.

ამ ბლეგებში ასეთი საანგარიშო მოხსენებით წარსდგა პლენუმის წინაშე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარემ გ. ჯინჭარაძემ მრავალრიცხოვან აუდიტორიას გააცნო განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობა.

მიღწევები! რასაკვირველია, მიღწევები გვაქვს და საკმაო რაოდენობითაც. სამაგალითოდ კმარა, თუნდაც, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა შესანიშნავი წარმატებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა საკავშირო ასპარეზზე. დაწყებული „ტყავის ბურთის კლუბის" შეჯიბრებებიდან, დამთავრებული ჭაბუკთა ორგანიზებული, მაღალი კვალიფიკაციის გუნდებით, რომლებმაც დღეს-ხვალ უნდა შეავსონ უმაღლესი კლასის ფეხბურთის რიგები, საქართველოს წარგზავნილებმა ღირსეულად ისახელეს თავი. შინ ჩამოტანილ პრიზებს და ჯილდოებს რომ დავანებოთ თავი, საკავშირო ნაკრები გუნდების შემადგენლობებში უხვად ვხედებით ჩვენს ფეხბურთელებს, კარგი მომავლის მქონე, პერსპექტიულ მოთამაშეებს. ეს კი ნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს გუნდებს ეზრდებათ საიმედო ცვლა, მარაგში ჰყავთ ხვალინდელი ოსტატები, რომლებსაც დიდი და კეთილშობილური მისია ევალებათ: სახელოვნად გააგრძელონ ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიციები.

უდავოდ დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული თბილისის „დინამოს" და ქუთაისის „ტორპედოს", რომლებმაც ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად უკეთესად ითამაშეს და უკეთესი ადგილებიც დაიკავეს საკავშირო ჩემპიონატში. ამას გარდა, საქართველოს გუნდების მოთამაშეები სისტემატურად გამოდიან სსრ კავშირის ერთიანულ ნაკრებ გუნდში.

ქართული ფეხბურთის აქტივი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. მიღწევა სხვაც ბევრია, მაგრამ მათი ჩამოთვლა და ადრე მოპოვებულით თავის დამშვიდება არასწორი გზით წაგვიყვანდა და აგვაცდენდა მთავარს: ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ამიტომ მოხსენებელმა ილაპარაკა იმ ხარვეზებზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს ადგილი რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში. ილაპარაკა იმაზე, რომ ჩვენი „ა" კლასის II ჯგუფის გუნდები და „ბ" კლასის წარმომადგენლები ერთობ არასასარბიელო მაჩვენებლებით გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში. ვერ დგას დამაკმაყოფილებლად საქმე საქართველოს პირველობის მონაწილე კოლექტივებში, უმეტეს ადგილას დაბალ დონეზე მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა და ჯერ კიდევ არა გვყავს კარგად მომზადებული, მაღალი მონაცემების მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელები, სწორია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და ა. შ.

მოხსენებით გამოვიდა, აგრეთვე, მაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. შავდია, რომელმაც პლენუმს გააცნო მაჯთა კოლეგიის საქმიანობა და მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფეხბურთის ვეტერანები ე. ნიკოლაიშვილი (თბილისი), მ. თურქია (აფხაზეთის „დინამოს" საოლქო საბჭო), ო. ბუაძე (ფოთი), თბილისის ნორჩი დინამოელის მწვრთნელი ო. უშვერიძე, თბილისის მაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ო. ჟორდანია, ვ. კუსიდი (აბარა), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე ბ. ბაქანიძე, ქუთაისის „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი ა. ნორაბიძე, კ. გოგოლაძე (მახარაძე), ს. მელქოვი (ცხინვალი), ვ. მდივანი (თბილისი), თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ვ. სოლოვიოვი.

მოკამათეთა საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა ბავშვთა შორის მუშაობის არასათანადო დონე, სათამაშო მინდვრების სიმკვრე, საჭირო ინვენტარისა და ფორმის ნაკლებობა, მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია, უკმარი აღმზრდელობითი მუშაობა ფეხბურთელთა შორის, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების უქონლობა. სიტყვაში გამოსულნი ამხელდნენ ფედერაციის მუშაობაში არსებულ იმ ჩრდილოვან მხარეებს, რომლებსაც ჩვენში უკვე თავისებური „ქრონიკული" ხასიათი მიეცა.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ მოხსენებაში არ იყო სათანადოდ მოცემული ფედერაციის პრეზიდიუმის მუშაობის ანალიზი, არ იყვნენ მხილებული მისი ის „საპატიო წევრები", რომლებიც თავს არიდებდნენ აქტიურ მუშაობას და არ ესწრებოდნენ პრეზიდიუმის სხდომებსაც კი.

სიტყვით გამოვიდა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელი ან. სტაროსტინი. პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. სიხარულიძემ.

პლენუმმა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო პერიოდის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და მიიღო რეზოლუციის პროექტი.

დასასრულს, მოხდა არჩევნები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია გ. ჯინჭარაძე, მოადგილედ — ბ. პაიჭაძე; მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ვ. შავდია, მოადგილედ — ო. ჟორდანია.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმის დელეგატებად არჩეულ იქნენ გ. ჯინჭარაძე, დ. ცომაია და ვ. შავდია.

* * *

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშებაში აქტიური მონაწილეობისთვის რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: დ. ცომაია, ვ. შავდია, რ. ჯანანაშვილი, გ. ჯინჭარაძე, ზ. კალოევი, რ. შახნაზაროვი, კ. მესხი, ი. ბეჟდლიშვილი, დ. ჟორჟოლიანი, ა. სიანოზოვი, უ. ფურცელაძე, ბ. ცხაკაია, ლ. გონგაძე, კ. აბასაძე, ი. გაბისონია, ა. ხარატიშვილი, ი. გოგაშვილი, ა. კვირნაძე, ლ. ვერულიძე.

ცვლილებანი „ა" კლასში

ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა გუნდის უფროსად და უფროს მწვრთნელად დანიშნულია ე. გრიგორიანი, მწვრთნელებად — ა. სირეკინიანი და ო. აბრამიანი.

კიროვაბადის „დინამოს" სათავეში ჩაუდგა მწვრთნელი ა. აბილ-ზადე.



თბილისელი სტუდენტი შოთა აზარაშვილი ერთ-ერთი პერსპექტიული ტანმოვარჯიშეა ჩვენში. ნიჭიერი სპორტის ოსტატი განსაკუთრებით ძლიერია ბჯენით ხტომაში, რგოლებსა და ორძელზე ვარჯიშში.

* * *

სურათზე: შ. აზარაშვილი ბჯენითი ხტომის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ჩვენი

პირველი მარცხიანი გასვლა

როგორც ვიუწყებოდით, კაუნასის „ჟალგირისი“ 17 იანვრამდე კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერად ითვლებოდა. მართალია, დაგროვილი ქულების მიხედვით იგი მხოლოდ IV-V ადგილებს იყოფდა ლენინგრადის „სპარტაკთან“, მაგრამ „ჟალგირისს“ ორად-ორი ქულა ჰქონდა დაკარგული!

„ჟალგირისი“ ჩვენი ქვეყნის უდავოდ ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო კოლექტივია და ამიტომ ჩემპიონატის სტარტზე მისი წარმატება არავის გაკვირვებია. ლიტველებმა რეალისტურად შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობანი უპაულაუსკასოდ და თამაში იმდაგვარად გარდაქმნეს, რომ ეს დიდი დანაკლისი ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო. და აი, გუნდი პირველივე მატჩებიდან სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. ლიტველთა „ბატონობა“ თვენახევარს გაგრძელდა, 17-18 იანვარს კი იგი დაემხო.

ეს მოხდა მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტკლუბის დარბაზში. ცსკა-მ პირველი მატჩი მართლაც ჩემპიონის სტილში ჩაატარა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ლიტველთა დაცვას. შეხვედრის ბედი ფაქტიურად შესვენებამდე გადაწყდა: მასპინძლებმა ტაიმი 16 ქულის უპირატესობით მოიგეს. დანარჩენი, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ტექნიკის საქმე იყო. ცსკა-მ 16-ქულიან აქტივს მეორე ტაიმში კიდევ 4 ქულა დაუმატა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 74:54. განმეორებით მატჩში ლიტველები რევანშის აღებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. „ჟალგირისმა“ მეორე შეხვედრაც წააგო, ოღონდ უფრო საპატიო ანგარიშით—54:59.

ამ ორი შეხვედრის შედეგზე ასე დაწვრილებით არ შევჩერდებოდით, იგი ერთი მოტივით საგულისხმო რომ არ იყოს. როგორც ცნობილია, 8 ქულა „ჟალგირისმა“ შინ გამარჯვებების შედეგად მოაგროვა. პირველი გასვლითი მატჩი ლიტველებს მოსკოვში ჰქონდათ. და აი, უცხო მოედანზე დებიუტი მარცხით დამთავრდა.

კალენდრით, თბილისის „დინამოს“ მორიგი შეხვედრა 18 იანვარს ტალინში ჰქონდა, მაგრამ მატჩი არ შედგა. საქმე ისაა, რომ ესტონელი კალათბურთელები ვარშავის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ (იქ მათ II ადგილი დაიკავეს) და მშობლიურ ქალაქში მხოლოდ 18 იანვარს დაბრუნდნენ. ცხადია, შეხვედრა [illegible] რდება.

სტუმრებთან [illegible] „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებთან მატჩებში რიგის ვეფ-მა ორი გამარჯვება მოიპოვა: პირველ დღეს ანგარიშით 82:68, მეორე დღეს — 93:65. ამ ორმა ქულამ ვეფ-ი ლიდერთა მწყობრში ჩააყენა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	14	10	4	986—949	10
„დინამო“ (თბილისი)	12	9	3	872—782	9
ცსკა	14	9	5	898—846	9
„სტროიტელი“ (კიევი)	14	9	5	926—903	9
ვეფ (რიგა)	18	9	9	1318—1278	9
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	12	8	4	904—828	8
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	14	8	6	996—967	8
„კალევი“ (ტარტუ)	12	6	6	750—764	6
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	10	5	5	630—622	5
ასკ (რიგა)	14	4	10	957—1008	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	14	2	12	1022—1162	2
„ბურევესტნიკი“ (ბაქო)	12	1	11	792—942	1

ფეხით—პრაღიდან მეხიკომდე

სპორტი

უკვე 2260 კილომეტრი გაიარა ოთხმა ჩეხოსლოვაკიელმა მთამსვლელმა ქალმა, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ფეხით ჩავიდნენ პრაღიდან ზაფხულის ოლიმპიადის დედაქალაქამდე — მეხიკომდე. მოგზაურობა ოლიმპიური სტარტების დასაწყისისთვის — ოქტომბერში დასრულდება. ენთუზიასტები არიან: 23 წლის ტექნიკოსი კვეტა ტარანტოვა, 24 წლის ბიოლოგი ვერა კომარკოვა, მუშები—36 წლის იარმილა ოჩასკოვა და 21 წლის ზდენა ოპატრნა. მოგზაური ქალები უკვე ჩავიდნენ ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში—დუვრში. აქ მათ შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის საელჩოს მუშაკები და ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენლები.

მოგზაურებმა პა-დე-კალეს სრუტე ბორნით გადალახეს და ისე მივიდნენ დუვრში საფრანგეთის ნავსადგურ კალედან.

დუვრიდან მთამსვლელი ქალები ლონდონის გზას დაადგნენ ისინი აპირებენ ოთხ დღეში გაიარონ 140 კილომეტრი. ინგლისი უკვე მეხუთე ქვეყანაა მათს გზაზე. მოგზაურებმა 13 ოქტომბერს აიღეს სტარტი პრაღაში და იმ დღიდან უკვე გაიარეს ავსტრია, გფრ, შვეიცარია, საფრანგეთი. ინგლისიდან ისინი კანადაში გადაფრინდებიან, იქიდან კი ფეხით გაივლიან აშშ-ს და მექსიკაში ჩავლენ. სულ მათ 7000 კილომეტრი უნდა დაფარონ ფეხით. ამ ვეებერთელა მარშრუტის „უმაღლესი“ პუნქტია პოპაკატეპეტლის მწვერვალი მექსიკაში (5452 მეტრი ზღვის დონიდან). ჩეხოსლოვაკიელ მთამსვლელებს განზრახული აქვთ ამ მწვერვალზე თავიანთი ქვეყნის ალამი აღმართონ.

ოთხეული მთელ წელიწადს ემზადებოდა ამ მოგზაურობისთვის. მათი აღჭურვილობა ჩეხოსლოვაკიის თითქმის 50 საწარმოს ნაწარმია. ამის თავისებური „საზღაური“ იქნება მოგზაურთა აზრი იმ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, რომელიც მათ გზაში გამოსაცდელად ჩააცვეს...

მოგზაურები გზად დღიურებს წერენ. ნაწყვეტებს ამ დღიურებიდან აქვეყნებს, კერძოდ, გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“.

ოთხი ენთუზიასტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათზე წერს ბევრი ადგილობრივი გაზეთი, გადაცემებს აწყობს ტელევიზია.

სპორტსმენები თავს ჩინებულად გრძნობენ. არც ერთი მათგანი ჯერ ავად არ გამხდარა. და თუ ეს მოხდება — ასე გადაწყვიტა ოთხეულმა — ავადმყოფთან დარჩება ერთ-ერთი, დანარჩენი ორი კი ისევ გააგრძელებს გზას. ჩამორჩენილები შემდეგ დაეწევიან მეგობრებს. მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ვთქვით, სპორტსმენებს არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრიათ, თუ არ ჩავთვლით პირქარს, წვიმას და სხვა წვრილმან, მოგზაურობისთვის ჩვეულებრივ უსიამოვნებას!

ბედნიერი გზა ვუსურვოთ ტარანტოვას, კომარკოვას, ოჩასკოვას და ოპატრნას.

ვ. ბაბკინი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): ზდენა ოპატრნა, ვერა კომარკოვა, იარმილა ოჩასკოვა და კვეტა ტარანტოვა.

ახალი ამბები

● ბევერვეიკი, 18 იანვარი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის „ასპროცენტიანი“ ლიდერი კვლავ ლენინგრადელი დიდოსტატი ვ. კორჩნოია: 7 ქულა 7-დან! შემდეგ მოდიან დიდოსტატები მ. ტალი (რიგა) და ფ. გეორგიუ (რუმინეთი) — 4,5-4,5 ქულა.

● *სიდნეი, 18 იანვარი. მსოფლიო რეკორდსმენი თავისუფალი სტილით ცურვაში კეტი უეინრაიტი (ავსტრალია) არ იასპარეზებს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 19 წლის ქალიშვილმა გადაწყვიტა თავი დაანებოს დიდ სპორტს. როგორც ჩანს, კეტის ეს გადააწყვეტინა ამერიკელი დ. მაიერის ფენომენალურმა მიღწევებმა: მსოფლიოს ოთხი რეკორდის დამყარებამ. ერთ-ერთი რეკორდი მაიერმა სწორედ ავსტრალიელ მოცურავეს „წაართვა“.*

„ვარეზეს“ დიდი დღეები

პროვინციული კლუბი „ფკ ვარეზე“, რომლის ხვედრითი წონა იტალიის ფეხბურთში ადრე უმნიშვნელო იყო, ბოლო ხანებში წარმატებით თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში. იგი უძლეველი ხდება, როცა საკუთარ მინდორზე იბრძვის. აქ მან 14 შესაძლებლიდან 13 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, თუმცა განთქმულ გუნდებთან მოუხდა შებმა.

უმნიშვნელო გუნდის ასეთი წარმატება იტალიელ მიმომხილველებს განთქმული მცველის პიკის დამსახურებად მიაჩნიათ. იგი აქ ზაფხულში გადავიდა „ინტერიდან“, სადაც კაპიტანი იყო. ასეთივე პოსტზე იქნა არჩეული პიკი „ვარეზეშიც“. მიმომხილველები უჩივიან ე. ერერას უხასიათობას, რომელმაც პიკი აიძულა პროვინციაში წასულიყო, თუმცა იგი იტალიის ნაკრების დაცვის ბურჯია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

აფრიკა უმიზნებს ...ოქროს ქალღმერთს

ადის-აბება, 18 იანვარი. დამთავრდა ქვეჯგუფების ტურნირები აფრიკის საფეხბურთო თასზე. როგორც აქ მყოფმა ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა განაცხადა, „ბოლო წლებში ფეხბურთმა თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია აფრიკის ქვეყნებში“. ამას ადასტურებს მატჩები აფრიკის თასზე. ეთიოპიის, ალჟირის, სპილოს ძვლის ნაპირის, განის, კონგოს (კინშასი) გუნდები სავსებით თანამედროვე, ტექნიკურ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ.

1970 წლის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სესიაზე, რომელიც თებერვალში გაიმართება კასაბლანკას, აფრიკის ქვეყნები აპირებენ კონტინენტისათვის ოქროს ქალღმერთის საძიებელი თუნდაც ერთი საგზურის მოთხოვნას (აქამდე აფრიკის ქვეყნები ევროპის ან აზიის ზონაში შეყავდათ).

თბილისის სპორტული აფიშა

თავისუფალი ჭიდაობა. ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49). 20 იანვარი. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

კრივი. სპორტის სასახლე. 21 იანვარი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო—ფინეთი. დასაწყისი 19 ს.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის პრ. № 2). 21 იანვარი. ამხანაგური შეხვედრა: „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 15 ს. წვიმიან ამინდში მატჩი არ შედგება.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა

რედაქციის მისამართი: თბილისი-8 ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30. სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14. ფოტოლაბორატორია — 3-95-16. მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვებები — 3-93-81.

მთელი დედამიწიდან...

ინსბრუკი, 17 იანვარი. საბჭოთა სტუდენტები ჩამოვიდნენ ტიროლის დედაქალაქ ინსბრუკში — 1968 წლის ზამთრის უნივერსიადის ადგილსამყოფელში. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში 58 ქალაქის წარმომადგენლები არიან. მათზე ადრე აქ მხოლოდ ფინელები, იაპონელები, ჰოლანდიელები, იტალიელები და ჩეხოსლოვაკიელები ჩამოვიდნენ. დანარჩენთა ჩამოსვლა უახლოეს ორ დღეშია მოსალოდნელი. უნივერსიადაში ასპარეზობას აპირებენ ისეთი ვარსკვლავები, როგორიც მოციგურავე სპრინტერები ერჰარდ კელერი (გფრ) და კეიიტი სუძუკი (იაპონია) არიან.

უნივერსიადის საზეიმო გახსნა 21 იანვრისთვისაა დანიშნული. ამ დღეს ფიგურისტები უკვე მიიღებენ პირველ პრიზებს. ასეთი სიჩქარე უბრალოდ აიხსნება: 24 იანვარს შვეციის ქალაქ ვესტეროსში ევროპის ჩემპიონატი იწყება და უნივერსიადის ზოგიერთი ფიგურისტი ინსბრუკიდან პირდაპირ იქითკენ გაემართება (კერძოდ, სსრ კავშირის ამასწინანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ვ. კურენბინი).

მოსკოვიდან გამგზავრების წინ საბჭოთა სპორტსმენებს უთხრეს, რომ ინსბრუკში დიდი თოვლი და 16-გრადუსიანი ყინვაა. მაგრამ დღეს ჰაერის ტემპერატურა 10 გრადუსით ხსცდა ნოლს. მთიდან მონაბერმა თბილმა ქარმა ფერდობებზე თოვლი გაალღო, რომელიც შემდეგ ყინულად იქცა. გაზეთები და რადიო იუწყებიან ავსტრიის მთიან რაიონებში მომხდარ ზვავებსა და წყალდიდობებზე, მილიონი შილინგის ზარალზე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14.